მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის აღსანიშნავად

უმაღლესი სასწავლებლების საყურადღებოდ: კონკურსი სტუდენტებს შორის საუკეთესო ესსეს გამოსავლენად.

მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის აღსანიშნავად, ბანკის წარმომადგენლობა თბილისში აცხადებს კონკურსს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სტუდენტებს შორის საუკეთესო ესსეს გამოსავლენად.

კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს დისკუსიას საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ. ნაშრომის თემაა: „საქართველო კიდევ 20 წლის შემდეგ."

კონკურსის შედეგად გამოვლინდება ათი საუკეთესო ესსეს ავტორი და მათი უმაღლესი სასწავლებელი. ნაშრომები გამოქვეყნებული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ. ხუთი საუკეთესო ესსეს ავტორი მიიღებს 1,000 ლარის ოდენობის ფულად ჯილდოს.

დაჯილდოვების ცერემონია შედგება საქართველოს მსოფლიო ბანკში გაწევრიანების ოცი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მიღებაზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ყველა უმაღლეს სასწავლებელს. მსურველები ვალდებული იქნებიან შეარჩიონ სტუდენტების მიერ წარდგენილი ნაშრომები, რის შემდეგაც საუკეთესო ესსეები წარუდგინონ მსოფლიო ბანკს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ნაშრომი შეიძლება დაიწეროს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

დაინტერესებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა შეავსონ თანდართული ფორმა და ა.წ. 23 ოქტომბრამდე გამოაგზავნონ საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელთან, ქ-ნ ინგა პაიჭაძესთან, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ipaichadze@worldbank.org. ან გამოაგზავნონ ბეჭდური ასლი შემდეგ მისამართზე: ნ. რამიშვილის 5ა, თბილისი, საქართველო; 0179, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი უმაღლესი სასწავლებლები მსოფლიო ბანკიდან მიიღებენ კონკურსის სახელმძღვანელო წესებს.